



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება
G E O R G I A
THE ORDER OF THE ASSEMBLY OF MESTIA MUNICIPALITY



განკარგულება:გ-135. 135242711

თარიღი:27/09/2024

**მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 სექტემბრის
სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:

დამტკიცდეს მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 სექტემბრის სხდომის დღის წესრიგი შემდეგი რედაქციით:

1. მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის მეოთხე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ

/მომხსენებელი: შ. ცინდელიანი./

2. მესტიის მუნიციპალიტეტის ლენჯერის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფელ კაერსა და სოფელ სოლში სახელწოდების არმქონე ცენტრალური ქუჩისათვის არაბული ციფრებით სახელდების შესახებ

/მომხსენებელი: ლ. ჯაფარიძე; თანამომხსენებელი: შ. ცინდელიანი./

3. „მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხანძრის, სტიქიის ან/და სიძველის შედეგად დაზიანებული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის ხელშეწყობის პროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აგვისტოს №11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

/მომხსენებელი: თ. დევდერიანი; თანამომხსენებელი: მ. ხორგუანი./

4. „მესტიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 დეკემბრის N 34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

/მომხსენებელი: თ. დევდერიანი; თანამომხსენებელი: მ. ხორგუანი./

5. „მესტიის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2024 წლის მუნიციპალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 დეკემბრის Nგ-135.135233631 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე,“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აგვისტოს Nგ-135.135242434 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.

/მომხსენებელი: თ. დევდერიანი; თანამომხსენებელი: მ. ხორგუანი./

6. მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის ანგარიში 2024 წლის 6 თვეში გაწეული საქმიანობის შესახებ.

/მომხსენებელი: ლ. გულედანი; თანამომხსენებელი: ზ. ფალიანი/

2. განკარგულება ძალაში შევიდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 54-ე მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში. (მისამართი: ქ.ზუგდიდი გრ.ქობალიას ქ №12).

მაიზურ ჯაფარიძე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

